

ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ  
პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 6 თებერვლის ბრძანების  
№25/01-01 საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის  
კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 9 თებერვლის №6/2023 დადგენილების  
1 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

**შემაჯამებელი ოქმი  
(კორექტირებული)**

ქ. თბილისი

3 აპრილი, 2023 წელი.

13:00 საათი, თსუ II კორპუსი, აუდ. 156 .

**სხდომას ესწრებოდა კომისიის ხუთივე წევრი:**

1. იოსებ ჩიკვაიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარინა რუხაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნინო თაყაიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ნელი სიდამონიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. მათა რუსია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე ასისტენტ - პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება, კორექტირება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი კორექტირებული შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**1. მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის პროფ. იოსებ ჩიკვაიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, **დეპარტამენტი - ქიმია, კათედრა - ფიზიკური და ანალიზური ქიმია**, ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ბ“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ქიმიის აკადემიურმა დოქტორმა გიორგი ჯიბუტმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისაგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, გადმოცემული საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქული სახით.

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა კონკურსანტ გიორგი ჯიბუტის საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში (118 დადგენილების დანართი №3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (118 დადგენილების დანართი №4) მიხედვით.

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს”.

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (3), მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (3), საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (2), ციტირების ინდექსი-223 (Scopus), h-ინდექსი-5 (Scopus), g-ინდექსი-5 (Publish or Perish 8), თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (იულისის კვლევების ცენტრი, ენერჯიებისა და კლიმატის ინსტიტუტი; სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (სან-დიეგო, ა.შ.შ. კალიფორნია); იტალიის კვლევების ასოციაციის ბიომოლეკულური ქიმიის ინსტიტუტი სასარის ფილიალი); ასევე, კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს და სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს.

შეფასების IV საფეხურზე (სხვა სახის აქტოვობა) ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორც არის სტუდენტების ხელმძღვანელობა SMART/AtmoSIM\_LAB-ში, ქიმიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელობა, ამერიკის ქიმიური საზოგადოება - საქართველოს ხელმძღვანელი, ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრი, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხოური ენების ფლობა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებისას კონკურსანტს დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა

ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობასთან.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (მომხრე - 5; წინააღმდეგი - არც ერთი) დაუჭირა მხარი **გიორგი ჯიბუტის** კანდიდატურას.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, ვინაიდან გაეცნო რა კონკურსანტის მონაცემებს, მიღწევებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და თვისებებს, ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს:

1. კონკურსანტის - გიორგი ჯიბუტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულებით ხელს უწყობს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს გაეცნონ თანამედროვე აქტუალურ ლიტერატურას, შეიძინონ მაღალ პრეციზიულ ხელსაწყოებთან (გაზური და სითხური ქრომატოგრაფები, მას-სპექტრომეტრი, კაპილარული ელექტროფორეზი, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრები, მიკროკალორიმეტრი და სხვ.) მუშაობის კარგი გამოცდილება, რათა სამომავლოდ ადვილად შეძლონ მუშაობა მსგავსი ტიპის განსხვავებული მოდელის ხელსაწყოებთან.
2. „ქიმიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოადგენს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის ანალოგს, კონკურსანტი ხელს უწყობს ქიმიით დაინტერესებული უცხოელი სტუდენტების მოზიდვას თსუ-ში.
3. ქიმიის აკადემიური დოქტორი გიორგი ჯიბუტი წარმატებით ახერხებს ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულებით როგორც თსუ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების, ასევე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო) სტუდენტების სამეცნიერო ხელმძღვანელობას და მათ აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

ერთხმად დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის **დეპარტამენტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე** ასისტენტ - პროფესორის (კატეგორია „ბ“) ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

**დეპარტამენტი – ქიმია**

**კათედრა - ფიზიკური და ანალიზური ქიმია**

**გიორგი ჯიბუტი – ასისტენტ - პროფესორი**

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი

ოქმი (კორექტირებული - 03.04.2023) დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე:

 / ი. ჩიკვაიძე /

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

 / მ. რუხაძე /

კომისიის მდივანი:

 / ნ. თაყაიშვილი /

კომისიის წევრები:

 / ნ. სიდამონიძე /

 / მ. რუსია /

თარიღი: 03.04.2023.